

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო
პროგრამა

(ინგლისურენოვანი)

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 2024 წლის 15-16 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2024 წლის 05 დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	21
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	28
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	34
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	47

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ქუთაისის უნივერსიტეტის, კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აზიმ მირზაზადეჰი, თეირანის მედიცინის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ირანი.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით თოფურია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი გაგუა - შპს გაგუას კლინიკა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	დიპლომირებული მედიკოსი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Medical Doctor
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ¹

განხილული პროგრამა არის დიპლომირებული მედიკოსის ახალი ერთსაფეხურიანი პროგრამა ინგლისურ ენაზე. პროგრამა ისწავლება 12 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 360 კრედიტს. ქუთაისის უნივერსიტეტმა, ცოტა ხნის წინ, ქალაქ ქუთაისში დანერგა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა; ახლა კი, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მედიცინის კიდევ ერთი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა დაიწყოს თბილისში, ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ამან პროგრამის ადმინისტრირებაში გარკვეული სირთულეები გამოიწვია. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა, რამდენჯერმე დასვა შეკითხვა თუ რა ურთიერთობაა ქუთაისში მდებარე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თბილისში ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამასა და ევროპის უნივერსიტეტს შორის, რომელიც თბილისში მდებარეობს. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის ვიცე-რექტორი, რომელიც იგულისხმება რომ არის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისში ცხოვრობს და პირადად არის ჩართული პროგრამის მართვაში, რომელსაც, თუკი ლოგიკურად შევხედავთ, უნდა ხელმძღვანელობდეს ქუთაისში მცხოვრები ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორი. ეს სირთულე აისახება თავად პროგრამის სახელწოდებაშიც. შენობაში განთავსებულია ლოგოები და დროშები, რომლებზეც ჩანს რომ თბილისში არის მედიცინის ფაკულტეტი, რომელიც ახალ პროგრამას აფინანსებს, თუმცა როდესაც ამის შესახებ ვიკითხეთ, განმარტეს, რომ მედიცინის ახალი სკოლა არ არსებობს - მედიცინის ახალ პროგრამას მართავს ქალაქ ქუთაისში მდებარე ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა. არ ვართ დარწმუნებულები, ეწინააღმდეგება თუ არა ეს რთული სიტუაცია მედიცინის პროგრამისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულ სახელმძღვანელო პრინციპებსა და სტანდარტებს, თუმცა საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ ეს ინფორმაცია აკრედიტაციის საბჭოსთვის მიგვეწოდებინა.

§ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

1. ვიზიტი მოეწყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IV კორპუსის მეოთხე სართულზე (ეს სივრცე ქუთაისის უნივერსიტეტმა დაიქირავა თბილისში დაგეგმილი ახალი პროგრამის კამპუსად).
2. ვიზიტის პირველ დღეს (2024 წლის 15 ივლისი) ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე შეხვედრა გამართა პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის, უმაღლეს ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის (ქალაქ ქუთაისის) სტუდენტებთან (Zoom-ის საშუალებით), უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. (2024 წლის 15 ივლისი)

¹ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

3. დაწესებულებაში ვიზიტს პირადად ესწრებოდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი, უცხოელი ექსპერტის ჩათვლით. რამდენადაც პროგრამა ახალია, მას არ ჰყავს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.
4. ვიზიტის მეორე დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა სამი საავადმყოფო და კლინიკა: ააიპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“, შპს „აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“; შპს „კანვენი“;
5. ამის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, ლაბორატორიები პრაქტიკული სამუშაოებისთვის, კლინიკური უნარებისა და სიმულაციის ცენტრი და ბიბლიოთეკა.
6. დაბოლოს, შევხვდით რექტორს, პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ვიცე-რექტორს ხარისხის მიმართულებით და მედიცინის ფაკულტეტის დეკანს; მათ გავაცანიოთ წინასწარი მიგნებები.

გ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1:	1.1: მეტწილად შესაბამისობა აშია	1.2: მეტწილად შესაბამისობა აშია	1.3: ნაწილობრივ შესაბამისობა აშია	1.4: ნაწილობრივ შესაბამისობა აშია	1.5: მეტწილად შესაბამისობა აშია
სტანდარტი 2:	2.1: შესაბამისობა აშია	2.2: შესაბამისობა აშია	2.3: შესაბამისობა აშია	2.4: შესაბამისობა აშია	
სტანდარტი 3:	3.1: შესაბამისობა აშია				
სტანდარტი 4:	4.1: ნაწილობრივ შესაბამისობა აშია	4.2: -	4.3: შესაბამისობა აშია	4.4: შესაბამისობა აშია	4.5: შესაბამისობა აშია
სტანდარტი 5:	5.1: მეტწილად შესაბამისობა აშია	5.2: შესაბამისობა აშია	5.3: შესაბამისობა აშია		

§ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თავისი მისიის დებულებებზე დაყრდნობით უფრო მეტად დაასაბუთოს თბილისში ახალი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შეთავაზების საჭიროება
2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააზუსტოს თბილისში ქუთაისის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა როლი პროგრამის შემუშავებაში, მათ შორის სწავლის შედეგების შემუშავებაში;
3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის „პირდაპირ მეთოდს“, რათა შეაფასოს სწავლის შედეგების მიღწევა და არა სტუდენტთა პროგრესი გამოცდებზე.
4. რეკომენდებულია, სავალდებულო კურსების თანმიმდევრობის განსაზღვრა მიღწეული კომპეტენციების მიხედვით.
5. რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსს ჰყავდეს კონკრეტული ავტორი ან ხელმძღვანელი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურსის ეფექტური განხორციელება.
6. რეკომენდებულია, კლინიკური და პროფესიული უნარები საბოლოო ეტაპზე შეფასდეს OSCE გამოცდით.
7. რეკომენდებულია აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
8. რეკომენდებულია ადმინისტრაციული პერსონალის დამატება, რომელიც უშუალოდ დაეხმარება ამ პროგრამას თბილისში.
9. რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის გაუმჯობესება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის, კერძოდ, ისეთი შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც გაზომავს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონეს.

§ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა თბილისში ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს.
2. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო სწრაფად მოახდინოს ხარვეზებზე რეაგირება და არ დაელოდოს სამი წლის გასვლას.
3. სასურველია, რომ საიჯარო ხელშეკრულება გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტში.

- **§ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)²**

§ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღებით შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და მხოლოდ 1 პუნქტის გარდა, რომელიც ეხება შეფასების შედეგების ანალიზის მოლოდინის პერიოდს (3 წელი), რომელიც გადავიდა „რჩევაში“, რჩება საკუთარ პოზიციაზე ქუთაისის უნივერსიტეტის თბილისის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

§ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

² პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას, რომელიც:

1. ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს
2. ხელმძღვანელობს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებით
3. იყენებს კვლევისა და კომუნიკაციის უნარებს
4. იზიარებს ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს
5. პროფესიულად ვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში

პროგრამის მიზნები რეალისტურია, მკაფიო და შეესაბამება მედიცინის დარგს. მიზნები შეესაბამება ქუთაისის უნივერსიტეტების მისიის განაცხადს.

„საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკურ აღმშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანას;“ იმავდროულად, ქუთაისის უნივერსიტეტის მისია ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერებას. ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობას, როგორც

უნივერსიტეტის რესურსების, ასევე, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.“
უნივერსიტეტის მისიის მიერ ადგილობრივ აკადემიურ საზოგადოებაზე ყურადღების გამახვილების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ უნივერსიტეტმა უფრო ნათლად აღწეროს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის თბილისში არსებობის აუცილებლობა.

პროგრამის მიზნები მოიცავს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების სამივე სფეროს, რაც აუცილებელია სამედიცინო სფეროს კურსდამთავრებულისთვის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების გუნდთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან შეხვედრებისა და გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოხატა თავისი შემოთქმა ქუთაისის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ან ევროპის უნივერსიტეტის პროგრამის, მათ შორის მიზნებისა და ამოცანების დუბლირებასთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დოკუმენტები გამოიყენეს ახალი პროგრამის საფუძვლად, თუმცა სცადეს მისი გაუმჯობესება, პროგრამის განხორციელებისას მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.

უნივერსიტეტმა ასევე გამოიყენა დამსაქმებლების უკუკავშირი პროგრამის მიზნებსა და ამოცანებთან დაკავშირებით, რათა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლებისას ყურადღება მეტად გამახვილებულიყო პრაქტიკულ კომპონენტზე.

უნივერსიტეტმა გამოიყენა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა, რათა შეემუშავებინა პროგრამის მიზნები.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე არანაირი ინფორმაცია არ არის გამოქვეყნებული ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ახალ პროგრამაზე, რომელიც თბილისში განხორციელდება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ინფორმაციის განთავსებას აკრედიტაციის მიღების შემდეგ გეგმავენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ახალი საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წევრებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თავისი მისიის დებულებებზე დაყრდნობით უფრო მეტად დაასაბუთოს თბილისში ახალი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შეთავაზების საჭიროება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა თბილისში ქუთაისის უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა კარგად შემუშავებული, რაციონალური და დარგობრივი სწავლის შედეგების ჩარჩო, რომელიც მოიცავს 14 დომენს. ისინი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სათანადოდ პასუხობს მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიას; სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური; ისინი შეესაბამება კვალიფიკაციის სათანადო დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სწავლის შედეგები შეესაბამება მიმდინარე საერთაშორისო ტენდენციებსა და მოთხოვნებს პრაქტიკოსებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი პროფესიული კოდექსის შესრულება, პაციენტებთან ეფექტური კომუნიკაცია და ჯანდაცვის სისტემაში ჯანდაცვის პროფესიონალების როლის შესრულება.

მართალია არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი კოლაბორაციული და ინკლუზიურია, ვინაიდან თვითშეფასების ანგარიშში არ არის გადმოცემული მკაფიო ზღვარი ქუთაისში მოქმედ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასა და ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის თბილისის პროგრამას შორის, შეუძლებელია შევადგათ თუ რა დონეზე იყვნენ ჩართულები ახალი პროგრამის დაინტერესებული მხარეები სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში.

პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სწავლის შედეგებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ახალი საგანმანათლებლო პროგრამა
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააზუსტოს თბილისში ქუთაისის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა როლი პროგრამის შემუშავებაში, მათ შორის სწავლის შედეგების შემუშავებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის დროს ჩვენ მიერ განხილული დოკუმენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დირექტორთან და ვიცე-კანცლერთან გასაუბრების საფუძველზე დავადგინეთ, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების შემდეგი მეთოდებით:

- შეფასების პირდაპირი მეთოდი;
- შეფასების არაპირდაპირი მეთოდი;

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი მოიცავს სასწავლო კურსში სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას და ანალიზს, რაც გულისხმობს კონკრეტულ სასწავლო კურსებზე სტუდენტების საბოლოო ქულების ანალიზს.

პირდაპირი შეფასების პროცესში მონაწილეობს სპეციალობის ყველა სავალდებულო კომპონენტი და კომპონენტზე რეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მოწმდება სტუდენტების რამდენი პროცენტი იღებს თითოეულ სასწავლო კომპონენტში A და F ქულებს. შედეგები რომ იყოს ლოგიკური, მოწმდება ის ჯგუფები, სადაც 10-ზე მეტი მოსწავლეა დარეგისტრირებული კონკრეტულ საგანმანათლებლო კომპონენტზე.

სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან (აკადემიური მოსწრების ანალიზი) საგანმანათლებლო პროგრამისთვის საყურადღებოა ორი ტიპის შედეგი:

1. სტუდენტების 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს ჩამჭრელ ქულას: F(ჩაიჭრა) 50 ან ნაკლები ქულა. ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო კომპონენტით უზრუნველყოფილი სწავლის შედეგები ვერ მიიღწევა ბევრ შემთხვევაში და შესაბამისად, ეს საკითხი საჭიროებს კვლევას.
2. სტუდენტების 10%-ზე მეტი მუდმივად იღებს უმაღლეს ქულას: A (ფრიადი) - 91-100 ქულა. ამ შემთხვევაში, საგანმანათლებლო კომპონენტით უზრუნველყოფილი სწავლის შედეგები შესაძლოა ჩაითვალოს მისაღწევად მეტისმეტად მარტივად და შესაბამისად, საკითხი საჭიროებს შესწავლას.

უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ ამ დაკვირვების ჩატარება აუცილებელია რეგულარულად (დინამიკაში დაკვირვება), რათა გამოავლინონ თუ რამდენად მუდმივია ზემოხსენებული პრობლემა კონკრეტულ საგანმანათლებლო კომპონენტში (რათა გამოირიცხოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სტუდენტთა ძლიერი ჯგუფი ან პირიქით) და შესაბამისად, გამოვლინდეს რეაგირების საჭიროება.

მართალია ზემოხსენებული სისტემა, როგორც განგაშის სისტემა, პროგრამის პრობლემატურ სფეროებზე ყურადღების გამახვილების მიზნით, პრაქტიკული და რაციონალური ჩანს, არსებობს გარკვეული გამოწვევები:

პირველ რიგში, ვინაიდან გამოცდის შედეგები წარმოადგენს შუალედური და ფინალური გამოცდების ჯამს, რაც რამდენიმე სწავლის შედეგს მოიცავს, გამოცდებზე სტუდენტების წარმატება თუ წარუმატებლობა არ ნიშნავს, რომ ისინი კონკრეტულ სწავლის შედეგში კომპეტენტური ან არაკომპეტენტურები არიან.

მეორე, ვინაიდან პროგრამის მიზანია სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა, გაუგებარია, თუ რატომ არ იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შემფოთებული სტუდენტთა განათლებით, თუკი სტუდენტების უმეტესობა მხოლოდ ზღვრულ შედეგებს მიაღწევს.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კურსში პრობლემის რეალურად არსებობის განსასჯელად საჭიროა სამი წლის ინფორმაციის შეგროვება. ეს დაყოვნებად მიგვაჩნია და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან გასაუბრებისას, მათაც აღნიშნეს რომ სამი სემესტრის ინფორმაცია უმჯობესი იქნებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის „პირდაპირი მეთოდი“, რათა შეაფასოს სწავლის შედეგების მიღწევა და არა სტუდენტთა პროგრესი გამოცდებზე.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო სწრაფად მოახდინოს ხარვეზებზე რეაგირება და არ დაელოდოს სამი წლის გასვლას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი			შესაბამისობა შია მოთხოვნებთან ნ	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან ნ	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან ნ	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან ნ
1.3	პროგრამის შედეგების მექანიზმი	სწავლის შეფასების	☐	☐	☒	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის მიხედვით, ექვსწლიანი, 360 კრედიტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა კრედიტების გადაცემის ევროპულ სისტემას (ECTS) იყენებს. პროგრამა სტუდენტზე ორიენტირებულია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ამოცანებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში, 1 კრედიტი შეადგენს 30 სასწავლო საათს და ასახავს სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას. ექვსწლიანი (12 სემესტრიანი) ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 360 კრედიტისგან (რაც მოიცავს 10 800 საათს), ეს მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. სტუდენტი სემესტრში იღებს 30 კრედიტს, ხოლო 1 წელიწადში - 60 კრედიტს. მას აქვს შესაძლებლობა გადააჭარბოს 60 კრედიტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და დაამატოს მაქსიმუმ 15 კრედიტამდე.

პროგრამის სწავლის ძირითადი სფერო მოიცავს 330 კრედიტს: სავალდებულო (320 კრედიტი, მათ შორის 10 კვლევითი და 28 კლინიკური უნარი ცენტრში/ლაბორატორიაში) და არჩევითი (10 კრედიტი) და 30 კრედიტი თავისუფალ კომპონენტებში: სავალდებულო (16 კრედიტი) და არჩევითი (14 კრედიტი). პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, აერთიანებს საბაზისო და კლინიკურ საგნებს ვერტიკალური (სისტემის/სინდრომის მიხედვით) და ჰორიზონტალური

(მომიჯნავე საგნები) ინტეგრაციით, რათა ხელი შეუწყოს მოქნილი კლინიკური და კრიტიკული აზროვნების უნარებს.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა იყოფა 4 ფაზად:

1. მედიცინის საფუძვლები (I-II კურსი): მოიცავს მოდულებს ადამიანის სხეულზე, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებზე, ნეიროანატომიაზე, ნეიროფიზიოლოგიასა და ქცევის მეცნიერებებზე.
2. ჯანმრთელობისა და ავადობის მექანიზმები (III კურსი): მოიცავს პათოლოგიას, დაავადების განვითარებას და მკურნალობის მექანიზმებს.
3. ძირითადი კლინიკური ფაზა (IV-V კურსი): აერთიანებს სტუდენტებს კლინიკურ როტაციის სისტემაში, მათ შორის შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია და სხვა დისციპლინები. III (IV-V) ფაზაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკურ როტაციებს სხვადასხვა საგნებში და განაგრძობენ კლინიკური და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.
4. კლინიკური ფაზის დასკვნითი საფეხური (VI კურსი): ორიენტირებულია კომპეტენციების განვითარებაზე კონკრეტულ სფეროებში და ამზადებს სტუდენტებს სპეციალიზაციისა და დიპლომისშემდგომი რეზიდენტურის პროგრამებისთვის.

სასწავლო პროგრამა მოიცავს როგორც საბაზისო და კლინიკური საგნების ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ინტეგრაციას, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში მოქნილ კლინიკურ აზროვნებას. თუმცა, აღნიშნულია, რომ სავალდებულო კურსების თანმიმდევრობას უკეთესი ორგანიზება სჭირდება. მაგალითად, კლინიკური და პროფესიული უნარები ისწავლება პირველიდან მეექვსე კურსამდე, თუმცა, პირველი წლის სილაბუსი და სასწავლო გეგმა მიუთითებს, რომ პირველი კურსის ბოლოს სტუდენტს უნდა შეეძლოს ჭრილობის ტიპის იდენტიფიცირება, ნაკერის ტიპის განსაზღვრა, დამწვრობის ხარისხის აღწერა, ან დამწვრობის ხარისხის შეფასება, აგრეთვე მხედველობის, სმენის და ყნოსვის ორგანოებზე მანიპულაციების ჩატარება. თუმცა, სტუდენტს ამ დროისთვის ჯერ არ აქვს ნასწავლი ანატომია ან ჰისტოლოგია სხვა ფუნდამენტურ საგნებთან ერთად. გარდა ამისა, კლინიკური და პროფესიული უნარები II პირველი წლის ბოლოს ფასდება OSCE გამოცდით, ხოლო მეხუთე კურსის ბოლოს, კლინიკური და პროფესიული უნარები V ფასდება მხოლოდ ქვიზით, პრაქტიკული და თეორიული შეფასებით.

უნივერსიტეტი იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებსა და აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების მიერ კრიტიკული აზროვნების განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამა აერთიანებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და შეფასებებს, რათა მათ მიერ მოწოდებული უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს ან განაახლოს პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები.
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები.
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები, მათი ანალიზი და ანგარიში ამ შედეგების გამოყენების თაობაზე.
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის შეხვედრის ოქმი.
- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სავალდებულო კურსების თანმიმდევრობის განსაზღვრა მიღწეული კომპეტენციების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➤ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრების მიხედვით, აშკარაა, რომ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ემთხვევა პროგრამის საერთო მიზნებს. კერძოდ, პროგრამა სტრუქტურირებულია დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მიხედვით, რომელიც მოიცავს საჭირო კომპეტენციების მოსაპოვებლად აუცილებელ კურსებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის მიერ განსაზღვრულ შედეგებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას. ეს თანხვედრა დასტურდება სწავლის შედეგების რუკით, რომელიც განსაზღვრავს თითოეული კურსის მიერ მიღწეულ შედეგს და უზრუნველყოფს პროგრამის მაღალი სტანდარტით სწავლებას. უმაღლესი განათლების სტანდარტებთან ეს თანმიმდევრულობა მოითხოვს სწავლის შედეგების მკაფიო განმარტებას და მათ შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან.

თითოეული კურსის შინაარსი და სილაბუსი შეესაბამება სასწავლო კურსს და მითითებული ლიტერატურა აწვდის სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას. სილაბუსში მოყვანილი ლიტერატურა განახლებულია და ასახავს ამ სფეროში არსებულ მიღწევებს. უმაღლესი განათლების სტანდარტების ეს დაცვა უზრუნველყოფს სასწავლო მასალის შესაბამისობასა და აქტუალობას.

სასწავლო კურსების დიზაინი, მათ შორის კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება, მიზნად ისახავს სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კურსისთვის კრედიტების რაოდენობა გამოითვლება მისი სპეციფიკის, მახასიათებლებისა და მოცულობის გათვალისწინებით. მაგალითად, კომპლექსური კურსები, როგორცაა "ადამიანის სხეული" და "კლინიკური უნარები" მოიცავს სამუშაო საათების მნიშვნელოვან მოცულობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ეს მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს სასწავლო პროცესსა და დატვირთვის განაწილებას შორის შესაბამისობას.

პროგრამაში გამოყენებულია სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თეორიული მასალის საფუძვლიან ათვისებას და პრაქტიკული უნარების სათანადო განვითარებას. ისეთ პრაქტიკულ კურსებში, როგორცაა "კლინიკური და პროფესიული უნარები" და "ქირურგია", საკონტაქტო საათების უმეტესობა ეთმობა პრაქტიკულ სწავლებას. ეს მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს, რომლებიც მხარს უჭერს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს და მათ შესაბამისობას სწავლის შედეგებთან.

სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები აღწერილია თითოეული კურსის სილაბუსში და ზოგადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი კურსი, როგორიცაა „კლინიკური და პროფესიული უნარები“, მოითხოვს შეფასებას არა მხოლოდ კურსის მსვლელობისას, არამედ OSCE დასკვნით გამოცდაზეც. ეს უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ შეფასებას და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას.

პროგრამის პერსონალი, დარგის უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, სალექციო თემებს საგანმანათლებლო მასალებით ამდიდრებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული კატალოგები სტუდენტებს აწვდის შესაბამის ლიტერატურას, რაც უზრუნველყოფს უახლესი რესურსების ხელმისაწვდომობას. ეს შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს, რომლებიც საჭიროებს რესურსებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობას და შესაბამისობას.

უნივერსიტეტი აფასებს თითოეულ სასწავლო კურსს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიხედვით. შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თითოეულ კურსს ჰყავს ლექტორი, თუმცა უმეტესობას არ ჰყავს კონკრეტულად განსაზღვრული სილაბუსის ხელმძღვანელი (ლიდერი) ან ავტორი, რომელიც პასუხისმგებელია კურსის წარმატებულ წარმართვაზე. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან სასწავლო კურსების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაზე. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ასევე არიან სხვა უნივერსიტეტების პროფესორები, რეკომენდებულია, თითოეულ კურსს ჰყავდეს სპეციალურად განსაზღვრული ავტორი ან ლიდერი კურსის ეფექტური მიწოდების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტი ყოვლისმომცველად აღწერს, თუ როგორ შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესები და მეთოდები. პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ხარისხიან სასწავლო პროცესს. ეს საფუძვლიანი მიდგომა ცხადყოფს პროგრამის ძალისხმევას, რომ შეინარჩუნოს მაღალი საგანმანათლებლო სტანდარტები და მუდმივად გააუმჯობესოს მისი ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://unik.edu.ge/Library/72>.
- თვითშეფასება;
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსს ჰყავდეს კონკრეტული ავტორი ან ხელმძღვანელი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურსის ეფექტური განხორციელება.
- რეკომენდებულია, კლინიკური და პროფესიული უნარები საბოლოო ეტაპზე შეფასდეს OSCE გამოცდით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<https://unik.edu.ge>), რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის განხილვით, მტკიცებულების სახით მოწოდებული დამატებითი დოკუმენტაციით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან გასაუბრებით. აპლიკანტებს უფლება აქვთ ისწავლონ პროგრამაზე: პირებს, რომლებსაც უფლება აქვთ ჩაირიცხოთ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის № 224/ნ ბრძანების საფუძველზე: „აბიტურიენტების/მაგისტრანტების/სტუდენტების მიერ საბუთების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე“. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაამტკიცონ ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ მისაღები გამოცდების ხარისხი სადავოა, საჭიროა გაუმჯობესდეს სტუდენტთა მიერ ინგლისური ენის ცოდნა. მისაღებმა გამოცდებმა უნდა უზრუნველყოს რელევანტური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტთა დაშვება პროგრამაზე. სრული ზოგადი განათლების ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი ქუთაისის უნივერსიტეტში სწავლის უფლებას იძენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების საფუძველზე. პროგრამაზე ჩასარიცხად, აბიტურიენტმა უნდა გაიაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა (მინიმალური ბარიერი 80%), ბიოლოგია.

ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. თითოეული საგნის კვოტირებული ადგილია - 40%, 30%, 30%.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამასთან და კურსთან დაკავშირებით მოწოდებული მთელი მასალა)
- თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

ი რეკომენდაციები, რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამა აერთიანებს

სხვადასხვა სასწავლო კურსს, რომლებიც ასწავლიან კვლევის მეთოდოლოგიას, კრიტიკულ ანალიზს და კვლევის ეთიკურ პრინციპებს. სტუდენტები მონაწილეობენ კვლევით პროექტებში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად და ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გარემოში. რამდენიმე ძირითადი კომპონენტი მოიცავს კვლევის უნარების განვითარებას, რაც წარმოდგენილია სავალდებულო კურსებით, როგორცაა სამეცნიერო მსჯელობა I-IV, რომელიც იწყება პირველი წლიდან და ფოკუსირებულია ლიტერატურის მიმოხილვაზე, კვლევის დიზაინზე, მონაცემთა ანალიზსა და სამეცნიერო წერაზე. პრაქტიკული უნარების განვითარება მოიცავს სავალდებულო კლინიკური და პროფესიული უნარების კურსებს (I-XI), რომლებიც მოიცავს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ უნარებს პირველი სემესტრიდან ბოლო კურსამდე. მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია ლაბორატორიული და სიმულაციური ტრენინგი, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა დისციპლინებით და სიმულაციური ცენტრით, სადაც 12 ოთახია გამოყოფილი პრაქტიკული უნარების განვითარებისა და შეფასების მიზნით, რისთვისაც გამოიყენება OSPE და OSCE. კვლევაში ჩართულობის მნიშვნელობა ხაზგასმულია სტუდენტური კონფერენციებისა და სამეცნიერო კვირეულების ორგანიზებით, კვლევითი უნარების განვითარების მიზნით. ეს ღონისძიებები მოიცავს პრეზენტაციებს, სემინარებს და კონკურსებს, რომლებიც ხაზს უსვამენ აკადემიურ კეთილსინდისიერებას და კვლევის ეთიკას.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ასახავს სტუდენტებს შორის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მტკიცე ვალდებულებას. კვლევის მეთოდოლოგიის კურსების ჩართვა პროგრამის დასაწყისში და მათი გაგრძელება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში უზრუნველყოფს ღრმა და მდგრად ფოკუსირებას კვლევის უნარებზე. პრაქტიკული სასწავლო გარემოს მრავალფეროვნება, მათ შორის სიმულაციური ცენტრები და კლინიკური სწავლების ადგილები, აძლევს სტუდენტებს ფართო პრაქტიკულ გამოცდილებას. კლინიკური როტაციისთვის მრავალ სამედიცინო დაწესებულებასთან თანამშრომლობა უზრუნველყოფს სტუდენტების მრავალფეროვან და ყოვლისმომცველ კლინიკურ მომზადებას. კონფერენციებისა და სამეცნიერო კვირეულების ორგანიზება მოწმობს აქტიურ ძალისხმევას, სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვისა და კვლევაზე ორიენტირებული აზროვნების განვითარების მიზნით. აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე გამახვილებული აქცენტი და პლაგიატის საწინააღმდეგო ინსტრუმენტების გამოყენება ხაზს უსვამს კვლევისა და აკადემიური მუშაობისას მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვისადმი უნივერსიტეტის ერთგულებას. რეგულარული ტრენინგები და საინფორმაციო სესიები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის კიდევ უფრო აძლიერებს ამ პრინციპებს.

დასასრულს, ქუთაისის უნივერსიტეტის პროგრამა ეფექტურად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და გადამეტებას. პროგრამის ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც შერწყმულია აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან და მუდმივ განვითარებასთან, აყალიბებს მას სამედიცინო განათლების მტკიცე მოდელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა
- პროგრამის განმახორციელებელი პირების რეზიუმეები (CVs)
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები:

ი რეკომენდაც(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან	არ არის შესაბამისობა აშია მოთხოვნებ თან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს მეთოდები მორგებულია თითოეული კურსის მიზნებზე, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას შინაარსთან და მოსალოდნელ კომპეტენციებთან. პროგრამა იყენებს ინტერაქტიულ ლექციებს, პრაქტიკულ სწავლებას, ჯგუფურ მუშაობას, სიმულაციას, კლინიკურ პრაქტიკას და სხვა მეთოდებს, რათა უზრუნველყოს სტუდენტების ყოვლისმომცველი ჩართულობა და უნარების განვითარება. სწავლება/სწავლის სხვადასხვა მეთოდი ითვალისწინებს ლექციებს, რომლებიც მოიცავს როგორც ვერბალურ ახსნას, ასევე ინტერაქტიულ მუშაობას, ხაზს უსვამს ძირითადი საკითხების კრიტიკულ ანალიზს. პრაქტიკული სწავლება და ჯგუფური მუშაობა მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, სიმულაციები, ლაბორატორიული სამუშაოები, კლინიკური პრაქტიკა, როლური თამაში, შემთხვევის შესწავლა, დისკუსიები, პრეზენტაციები და კლინიკური მოვალეობები. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და კლინიკურ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება (CBL) გამოიყენება პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარების გასავითარებლად, რეალური კლინიკური სცენარების საშუალებით. სტუდენტები ასევე იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კვლევისა და სწავლისთვის, ციფრული წიგნიერების ამაღლებისთვის.

პროგრამაში დემონსტრირებულია სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების სრულყოფილად განხორციელება, რაც ასახავს სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პრინციპებთან ძლიერ შესაბამისობას. მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენება ითვალისწინებს სწავლის სხვადასხვა სტილს და საჭიროებებს, ხელს უწყობს აქტიურ სწავლას და ჩართულობას. ინტერაქტიული ლექციების, პრაქტიკისა და შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლების ინტეგრაციით, პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის ეფექტურ გარდაქმნას პრაქტიკულ უნარებად.

პროგრამა ეფექტურად იყენებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება სწავლების დონეს, კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ყოვლისმომცველი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ საჭირო კომპეტენციებს მრავალფეროვანი და აქტიური მეთოდებით. სწავლების აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა დეტალური რუკის მეშვეობით კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის ეფექტურობას.

დასასრულს, ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებით ახორციელებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მრავალფეროვანი და ინტერაქტიული მიდგომა, რომელიც მხარდაჭერილია პერსონალიზებული სასწავლო გეგმებითა და ტექნოლოგიების ინტეგრაციით, პროგრამას წარმოაჩენს, როგორც ეფექტური სამედიცინო განათლების მოდელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

ი რეკომენდაციები, რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალება, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტმა დაანერგა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასების სისტემა. ეს სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს“. შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებებს, რომლებიც ერთად განსაზღვრავს კურსის საბოლოო შეფასებას, მაქსიმუმ 100 ქულით. დადებითი შეფასებები მერყეობს „შესანიშნავი“ (A)-დან „საკმარისამდე“ (E), ხოლო ნეგატიური შეფასებები მოიცავს „არადამაკმაყოფილებელს“ (FX) და „ჩაჭრას“ (F).

ქუთაისის უნივერსიტეტის შეფასების სისტემა იცავს საკანონმდებლო მოთხოვნებსა და ინსტიტუციურ პოლიტიკას. შუალედური და დასკვნითი შეფასება უზრუნველყოფს სტუდენტთა მუშაობის ყოვლისმომცველ შეფასებას, განმავითარებელი შეფასებები ხელს უწყობს მუდმივ გაუმჯობესებას და შემაჯამებელი შეფასება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების დაკმაყოფილებას. შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება (მაგ. ესეები, ვიქტორინები, პრაქტიკული აქტივობები, OSPE, OSCE, მორგებულია სწავლის კონკრეტულ შედეგებზე) იძლევა სხვადასხვა კომპეტენციის ჰოლისტიკური შეფასების საშუალებას, როგორცაა პრაქტიკული უნარები, კომუნიკაციის უნარი და კვლევის შესაძლებლობები. დეტალური სილაბუსები, რომლებიც ასახავს შეფასების კრიტერიუმებსა და მეთოდებს, ხელმისაწვდომია Moodle-ის პლატფორმაზე და უნივერსიტეტის სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაზე. განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასება გამოიყენება სტუდენტთა განვითარებისა და სწავლის ხარისხის გასაზომად და ხელშეწყობისთვის. მოქმედებს ქულების გასაჩივრების მკაფიო პროცედურები, რომელიც რეგულირდება „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესით“. სისტემის გამჭვირვალობა გაუმჯობესებულია ანონიმური შეფასების და სილაბუსებისა და ქულების გაზიარებისთვის ხელმისაწვდომი პლატფორმების გამოყენებით. გასაჩივრების პროცესი შემდგომში მხარს უჭერს სამართლიანობას, სთავაზობს რა სტუდენტებს სტრუქტურირებულ გზას, რათა გააპროტესტონ ის შეფასება, რომელიც მათ მიაჩნიათ, რომ უსამართლოა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქუთაისის უნივერსიტეტის თბილისის მედიცინის სკოლის დათვალიერება და გასაუბრების შედეგები
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დანართები;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- Moodle ელექტრონული პლატფორმა, რომელიც გამოიყენება მასალების კომუნიკაციისთვის: <http://unikmoodle.ge/>;

- ქუთაისის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტების საინფორმაციო სისტემა: <https://eunsis.unik.edu.ge/>

რეკომენდაციები:

NA

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება:	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების ადეკვატურობა პროგრამის შეფასების	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

